დანართი No. 3

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული
და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მედიახელოვნების ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (ნიუ - ჯერსი სითი უნივერსიტეტთან (NJCU) ერთად, აშშ)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელწოდება

შპს კავკასიის უნივერსიტეტი
ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2026 წლის 16 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი
2026 წლის 2 ივნისი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 13

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 15

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 15

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 25

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 32

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 36

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 46

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი 2. ნიუ-ჯერსის სითი უნივერსიტეტი (აშშ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი - 205050567 2. ნიუ-ჯერსის სითი უნივერსიტეტი - 185129
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კოსტას მანტზალოსი, ფრედერიკის უნივერსიტეტი, კვიპროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ელენე ასათიანი, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა შანშიაშვილი, საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს ვებსტერის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ თხელიძე, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო
უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	მედიახელოვნება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Media Arts
უმაღლესი განათლების საფეხური / პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	კავკასიის უნივერსიტეტი - მედიახელოვნების ბაკალავრი; ნიუ - ჯერსი სითი უნივერსიტეტი - ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მედიახელოვნებაში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0211 - აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	200
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2]უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3]მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

მედიახელოვნების სამწლიანი ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა (ნიუ - ჯერსი სითი უნივერსიტეტთან ერთად (NJCU), აშშ) შემუშავდა სწრაფად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. მედიახელოვნებისა და ციფრული კომუნიკაციის დარგში იზრდება მოთხოვნა მრავალფეროვანი და ადაპტური უნარების მქონე პროფესიონალებზე. ამასთანავე, დარგებს შორის არსებული მობილობა აჩვენებს, რომ სპეციალისტებს უნდა ჰქონდეთ როგორც დარგის ღრმა გაგება, ასევე, ცოდნა და შესაძლებლობები, რაც მათ მისცემს სხვადასხვა ქვედარგებში პროფესიული საქმიანობის საშუალებას.

აღნიშნულ ტენდენციებზე რეაგირების მიზნით, კავკასიის მედია სკოლის ინგლისურენოვანი ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს ყოვლისმომცველი და მულტიდისციპლინური განათლებით.

ის აერთიანებს ხელოვნებას, ციფრულ კომუნიკაციას, კინოწარმოებას და მენეჯმენტს; ამზადებს კურსდამთავრებულებს, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან აუცილებელი დარგობრივი ცოდნით, უნარებით, დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით.

პროგრამის მიზნები მჭიდრო კავშირშია კავკასიის უნივერსიტეტის მისიასთან, მედია სკოლის სტრატეგიულ მიმართულებასთან და ადგილობრივი და გლობალური შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

2006 წლიდან, კავკასიის მედია სკოლა ახორციელებს სხვადასხვა პროგრამას მედიისა და კომუნიკაციის მიმართულებით, მათ შორის საბაკალავრო პროგრამებს - ჟურნალისტიკასა და კომუნიკაციაში და საზოგადოებასთან ურთიერთობასა და კომუნიკაციაში, ასევე, სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამას. 2025 წელს, სკოლამ ასევე შეიმუშავა ციფრული კომუნიკაციისა და მედიახელოვნების ახალი საბაკალავრო პროგრამა. მედია სკოლის ინფრასტრუქტურა, გამოცდილი აკადემიური პერსონალი და სასწავლო გეგმების შემუშავების მდიდარი გამოცდილება უზრუნველყოფს ახალი პროგრამის ეფექტურ განხორციელებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, რომელიც აერთიანებს სტუდიებს, საკლასო ოთახებს, აუდიტორიებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისებს და ბიბლიოთეკას, შემდეგ კი ჩაატარა გასაუბრებები სტუდენტებთან (მომიჯნავე პროგრამა), კურსდამთავრებულებთან (მომიჯნავე პროგრამა), პროგრამის ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, მენეჯმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა უსდ-ს ხელმძღვანელობისა და პერსონალის მხრიდან, მედიახელოვნების ახალი საბაკალავრო პროგრამის მიმართ, მხარდაჭერა, ეს მკაფიო სტრატეგიის ნაცვლად, ტოვებდა მისწრაფებების შთაბეჭდილებას. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-ში უზრუნველყოფილია სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, საჭიროა დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომ აღნიშნული თანმიმდევრულად ხორციელდება პრაქტიკაში და აისახება გაზომვად სწავლის შედეგებში. გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი შეთანხმებულად თანამშრომლობს აკადემიურ ერთეულებთან. თუმცა, ბუნდოვანია, თუ რამდენად ეფექტურად ხდება ამ თანამშრომლობის ოპერაციონალიზაცია, უწყვეტი მონიტორინგის და გაუმჯობესების პროცესებში. ინფრასტრუქტურა არსებობს და ფუნქციურია, თუმცა ზოგიერთი მიმართულებით საჭიროებს უწყვეტ განახლებას, რომ სრულად დააკმაყოფილოს დისციპლინის განვითარებადი მოთხოვნები.

პროგრამა ეფუძნება პროცესზე ორიენტირებულ ფილოსოფიას და აქვს ძლიერი და მრავალფეროვანი სასწავლო გეგმა, რომელიც შეესაბამება შემოქმედებით ინდუსტრიაში მიმდინარე ტენდენციებს. ის აერთიანებს თემების ფართო სპექტრს და დაცულია ბალანსი ტრადიციულ და თანამედროვე პრაქტიკებს შორის. თუმცა, სასწავლო გეგმა, კონკრეტულად განსაზღვრული პრიორიტეტების გარეშე, შეიძლება იყოს ზედმეტად ამბიციური. ინტერდისციპლინური მიდგომა, რომელიც მიმართულია მრავალმხრივი უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებაზე, პერსპექტიულია, თუმცა პრაქტიკაში მისი განხორციელება დამოკიდებულია მკაფიო სტრუქტურაზე, მოდულების შესაბამისობასა და თანმიმდევრულ შეფასებაზე, სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევის მიზნით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - სტანდარტი 1: შესაბამისობაშია
  - სტანდარტი 2: შესაბამისობაშია
  - სტანდარტი 3: შესაბამისობაშია
  - სტანდარტი 4: შესაბამისობაშია
  - სტანდარტი 5: შესაბამისობაშია

- **რეკომენდაციები**

-

- **რჩევები**

  - სასურველია, პროგრამაში დაზუსტდეს, თუ როგორ განხორციელდება მიზნები პრაქტიკაში და ჩამოყალიბდეს მკაფიო კავშირი სასწავლო გეგმის შინაარსს, სწავლების მეთოდებს და შეფასების სტრატეგიებს შორის. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში უნდა განისაზღვროს გაზომვადი ინდიკატორები (მაგალითად,

კონკრეტული კომპეტენციები, შესრულების სამიზნე ნიშნულები, კურსდამთავრებულების შედეგები), რაც უზრუნველყოფს მიზნების მიღწევის სისტემატურ შეფასებას. სასურველია, სასწავლო კურსებს, სწავლის შედეგებს და შეფასების პრაქტიკებს შორის გაძლიერდეს შიდა თანმიმდევრულობა და შესაბამისობა, რაც გაზრდის პროგრამის მიზნების გამჭვირვალობას და სანდოობას; (1.1)

- სასურველია, ხელახლა განისაზღვროს საბაკალავრო პროგრამის ფოკუსი - პროგრამის სტრუქტურის და სასწავლო კურსების დახვეწით, ასევე, ჩამოყალიბდეს მკაფიო ცენტრალური კვლევითი ფოკუსი მედიახელოვნებაში, თანამედროვე აუდიოვიზუალური ხელოვნების და კულტურის კონცენტრაციით; (1.4)
- სასურველია, გაუმჯობესდეს პირველი ორი სასწავლო წლის საბაზისო კურსების თანმიმდევრულობა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მკაფიო პროგრესია: საბაზისო კურსები უნდა ისწავლებოდეს პირველ წელს, ხოლო უფრო მოწინავე, კონცეპტუალურად ან ტექნიკურად მოთხოვნადი კურსები მეორე წელს. აღნიშნული უფრო ლოგიკურია სწავლების პროცესში, ხელს შეუწყობს ცოდნის დაგროვებას და უკეთესად მოამზადებს სტუდენტებს ბოლო აკადემიური წლისათვის; (1.5)
- სასურველია, დაწესებულებამ კიდევ უფრო გააძლიეროს სტუდენტების მოტივაცია და ინტერესი, იმისათვის, რომ უზრუნველყოს მათი ჩართულობა სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში (3.1)

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[4]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**
  - **შპს კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების განხილვის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ამომწურავ განმარტებებსა და დამატებით მტკიცებულებებს.**
  - **1.** პირველი არგუმენტის ფარგლებში, რომელიც ეხება მედია ხელოვნების საბაკალავრო პროგრამაში წინაპირობა სასწავლო კურსების თანმიმდევრობასა და პედაგოგიკური პროგრესიის ლოგიკას, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა თანმიმდევრული სასწავლო ტრაექტორიების რამდენიმე მკაფიო და სტრუქტურირებული მაგალითი, რომლებიც მხარდაჭერილია კურსებს შორის წინაპირობითი კავშირებით და შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. კერძოდ, ვიზუალური ხელოვნების, პერფორმანსის კვლევებისა და მულტიმედიური წარმოების მიმართულებებით წარმოდგენილი მაგალითები ნათლად ასახავს პროგრესიას საწყისი დონიდან უფრო მაღალ თეორიულ, პრაქტიკულ და ტექნიკურ კომპეტენციებამდე. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების

[4]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

ფარგლებში წარმოდგენილ რაოდენობრივ მონაცემებს იმ კურსების შესახებ, რომლებიც წინაპირობის მოთხოვნებს შეიცავს.

- ამავდროულად, ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ რეკომენდაცია №1 არ იყო განპირობებული პროგრესიის მექანიზმების არარსებობით. შეფასების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო კურსების წინაპირობების ლოგიკა და სასწავლო პროგრესიის მექანიზმები ყოველთვის არ იყო საკმარისად მკაფიოდ და სისტემურად ასახული პროგრამის ყველა კომპონენტში. შესაბამისად, რეკომენდაციის მიზანი იყო სასწავლო გეგმის უფრო მაღალი ხარისხის გამჭვირვალობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით წინაპირობების სტრუქტურის თანმიმდევრულობისა და კვლევითი კომპონენტის თვალსაზრისით.
- დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი განმარტებებისა და მაგალითების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამაში ჩაშენებული პედაგოგიკური პროგრესია და წინაპირობების თანმიმდევრობა არსებითად დაზუსტდა. წარმოდგენილი პასუხი მნიშვნელოვანწილად პასუხობს რეკომენდაციაში გამოკვეთილ საკითხებს. შესაბამისად, რეკომენდაცია №1 ითვლება არსებითად შესრულებულად და ამოღებულია.

- **2.** მეორე არგუმენტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების განმარტებას, რომ პროგრამა მიზანმიმართულად არის შემუშავებული, როგორც მულტიდისციპლინური და პრაქტიკაზე ორიენტირებული მოდელი, რომელიც პასუხობს თანამედროვე მედია ხელოვნებისა და ციფრული კომუნიკაციის სფეროების ცვალებად მოთხოვნებს. წარმოდგენილი დასაბუთება, რომელიც ეხება აუდიოვიზუალური ხელოვნების, ციფრული კომუნიკაციის, მედია წარმოებისა და მენეჯმენტის მიმართულებებით მრავალმხრივი კომპეტენციების მქონე პროფესიონალების საჭიროებას, საფუძვლიანია და შეესაბამება დარგში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს. ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამის ინტერდისციპლინური იდენტობა სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ფუნდამენტურ კონცეპტუალურ საფუძველს წარმოადგენს და შემუშავებულია ნიუ-ჯერსის საქალაქო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.
- გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს პროგრამაში კვლევითი და ანალიტიკური კომპონენტების ინტეგრაციის მაგალითებზე, რომლებიც წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით სასწავლო კურსებში, მათ შორის: „აკადემიური წერა“, „მედიაწიგნიერება“, „ფილმის ესთეტიკა“ და „ხელოვნების კვლევა“. აღნიშნული მაგალითები ადასტურებს, რომ კვლევასთან დაკავშირებული კომპეტენციები ინტეგრირებულია სასწავლო გეგმაში და დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან.
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დამატებითი განმარტებები მნიშვნელოვნად აზუსტებს პროგრამაში პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებასა და კვლევითი კომპეტენციების განვითარებას შორის არსებულ ბალანსს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კვლევითი კომპონენტის ინტეგრაციის მიდგომა ახლა უფრო მკაფიოდ არის წარმოდგენილი და შეესაბამება პროგრამის დეკლარირებულ მიზნებსა და ინტერდისციპლინურ პროფილს.
- შესაბამისად, რეკომენდაცია მნიშვნელოვნად არის გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მოუწოდებს დაწესებულებას, პროგრამის დოკუმენტაციაში კიდევ უფრო გააძლიეროს კვლევასთან დაკავშირებული სასწავლო აქტივობების, მეთოდოლოგიებისა და პროგრესიის მექანიზმების მკაფიო ასახვა, რათა გაიზარდოს გამჭვირვალობა და აკადემიური თანმიმდევრულობა სტუდენტებისა და სხვა

დაინტერესებული მხარეებისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეკომენდაცია გარდაიქმნება რჩევად.

- **3.** მესამე არგუმენტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამატებით განმარტებებსა და დეტალურ მაგალითებს მედიის კვლევების, ვიზუალური კომუნიკაციისა და ხელოვნებისა და დიზაინის საფუძვლების პროგრამაში წარმოდგენასთან დაკავშირებით.
- ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო გეგმის უფრო ფართო სურათი და დაადასტურა, რომ მედიის კვლევებთან, ვიზუალურ კომუნიკაციასთან, ხელოვნებასა და დიზაინთან, კინოსა და მედიის ისტორიასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები ინტეგრირებულია პროგრამის სხვადასხვა ეტაპზე. წარმოდგენილი მაგალითები — „მედიაწიგნიერება“, „ფილმის ესთეტიკა“, „ხელოვნების ქრონოლოგია“, „ციფრული თხრობა და მულტიმედიური კომუნიკაცია“, „3D მოდელირება და დიზაინი“ და „ვიდეოწარმოება I“ — ადასტურებს, რომ პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ და კონტექსტუალურ, ისე პრაქტიკაზე ორიენტირებულ კომპონენტებს, რომლებიც შეესაბამება მის ინტერდისციპლინურ პროფილს.
- ექსპერტთა ჯგუფი ასევე იზიარებს დაწესებულების განმარტებას, რომ პროგრამა შემუშავებულია როგორც მულტიდისციპლინური და პროფესიულ პრაქტიკაზე ორიენტირებული მოდელი, რომელიც ნიუ-ჯერსის საქალაქო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შეიქმნა და მიზნად ისახავს თანამედროვე მედია ხელოვნების სფეროსთვის ადაპტირებადი პროფესიონალების მომზადებას. ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება მოსაზრებას, რომ მსგავსი ტიპის პროგრამაში თეორიულ, ანალიტიკურ და პრაქტიკულ კომპონენტებს შორის სათანადო ბალანსის არსებობა არსებით მნიშვნელობას ატარებს.
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაცია აჩვენებს, რომ აღნიშნული კომპონენტები პროგრამაში უფრო ფართოდ და არსებითად არის წარმოდგენილი, ვიდრე ეს თავდაპირველად შეფასების პროცესში ჩანდა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ პროგრამა მოიცავს შესაბამისი მიმართულებების უფრო ფართო სპექტრსა და მათთან დაკავშირებულ პროგრესიის მექანიზმებს.
- აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია №3 მიიჩნევა არსებითად შესრულებულად და ამოღებულია.

- **4.** მეოთხე არგუმენტთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დამატებით განმარტებებს და აღიარებს, რომ პროგრამა მოიცავს პედაგოგიკური პროგრესიისა და ცოდნის დაგროვების ელემენტებს. წარმოდგენილი მაგალითები — როგორიცაა პროგრესია კურსიდან „კომუნიკაციის ლაბორატორია“ კურსზე „კომუნიკაციის მოწინავე ლაბორატორია“, ასევე „რეპრეზენტაციული ხატვიდან“ „ციფრულ ხატვასა და ანიმაციამდე“, ხოლო შემდგომ „3D მოდელირებასა და დიზაინამდე“ — ნათლად ასახავს სასწავლო გეგმის შიგნით მიზანმიმართულ თანმიმდევრულობას.
- ექსპერტთა ჯგუფი ასევე აღნიშნავს, რომ პროგრამის სტრუქტურა შემუშავებულია ნიუ-ჯერსის საქალაქო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით და უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას.
- თუმცა, რეკომენდაციის მიზანი მხოლოდ პროგრესიის არსებობის დადასტურება არ ყოფილა. მისი მიზანი ასევე იყო პროგრამის პირველ წელს საწყისი დონის სასწავლო კურსების უფრო მკაფიო კონცენტრაციისა და მეორე წელს კონცეპტუალურად და

ტექნიკურად უფრო რთული კურსების უფრო სისტემური განთავსების ხელშეწყობა. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ დაადასტურა პროგრესიის არსებობა, ექსპერტთა ჯგუფი კვლავ მიიჩნევს, რომ სასწავლო გეგმის გარკვეული კომპონენტები საჭიროებს დამატებით დახვეწას, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს პროგრესიის გამჭვირვალობა და თანმიმდევრულობა პროგრამის ყველა კომპონენტში.

- შესაბამისად, რეკომენდაცია მიიჩნევა უმეტესწილად გათვალისწინებულად. ამავდროულად, ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს და წაახალისებს დაწესებულებას, სასწავლო გეგმის შემდგომი განვითარების პროცესში განაგრძოს პირველი და მეორე სასწავლო წლის კურსების განლაგებისა და თანმიმდევრობის გადახედვა, რათა სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს სწავლების მაქსიმალურად მკაფიო და ლოგიკური ტრაექტორია.

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

  - პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური / სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

პროგრამას ხელმძღვანელობს ორი აკადემიური პირი.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 34 პირი, მათ შორის 16 აკადემიური პერსონალის წევრი, 5 პროფესორი ნიუ - ჯერსი სითი უნივერსიტეტიდან და 18 მოწვეული ლექტორი:

9 აფილირებული პროფესორი: 4 (კავკასიის უნივერსიტეტი), 5 (ნიუ - ჯერსი სითი უნივერსიტეტი);

3 აფილირებული ასოცირებული პროფესორი;

4 ასისტენტ პროფესორი (მათ შორის 3 აფილირებული);

18 მოწვეული ლექტორი.

- დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი: 8
- აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა: **17:9**
- აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა: 9:34
- მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა: არ არის მითითებული

- ხელმძღვანელების დატვირთვის სქემა:

- სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები; პროგრამა ახალია, შესაბამისად აღნიშნული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

  პროგრამა ახალია. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

  პროგრამა ახალია. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი.

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.
  არ არის მითითებული

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	**შესაბამისობაშია**
1.1	პროგრამის მიზნები	**შესაბამისობაშია**
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	**შესაბამისობაშია**
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	**შესაბამისობაშია**
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	**შესაბამისობაშია**
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	**შესაბამისობაშია**
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	**შესაბამისობაშია**
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	**შესაბამისობაშია**
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	**შესაბამისობაშია**
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	**შესაბამისობაშია**
2.4	სტუდენტების შეფასება	**შესაბამისობაშია**
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალურიმუშაობა**	**შესაბამისობაშია**
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	**შესაბამისობაშია**
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	**აირჩიეთ შესაბამისი**
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	**შესაბამისობაშია**
4.1	ადამიანური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	**აირჩიეთ შესაბამისი**
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	**შესაბამისობაშია**
4.4	მატერიალური რესურსი	**შესაბამისობაშია**
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	**შესაბამისობაშია**
5	**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	**შესაბამისობაშია**
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5.2	გარე ხარისხის შეფასება	**შესაბამისობაშია**
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	**შესაბამისობაშია**

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის სტანდარტები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების
სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში / დიპლომირებული მედიკოსის
საგანმანათლებლო პროგრამაზე
სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების
თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:
რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ
პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ - ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ პროგრამის მიზნები ზოგადად ასახავს როგორც დარგის სპეციფიკას, ასევე, უნივერსიტეტის მისიის ზოგად მიზნებს. კერძოდ, პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხელოვნების ისტორიის და თეორიის სფეროში, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შესაბამისობა თვალსაჩინოა კონცეპტუალურ დონეზე, ბუნდოვანია, თუ რამდენად თანმიმდევრულად განხორციელებადია პროგრამის ამბიციები პრაქტიკაში.

საბაკალავრო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული; პრინციპში, რეალისტური და მიღწევადია. მიუხედავად ამისა, მათი ფორმულირება ზოგადია და ზოგიერთ შემთხვევაში არ მოიცავს საკმარის დეტალებს მიზნების განხორციელებისა და შეფასების შესახებ.

პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე მედიახელოვნების პროფესიული ღირებულებების, კრიტიკული გაცნობიერების, თეორიული და პრაქტიკული პოზიციონირების გააზრების განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიზნები აქტუალური და მნიშვნელოვანია; არსებობს კითხვები მიზნების პრიოტეტულობასა და სასწავლო გეგმაში მათ წარმოჩენასთან დაკავშირებით.

თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ პროგრამის მიზნები შემუშავდა მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო დაწესებულებების ანალოგიურ პროგრამებში არსებული პრაქტიკის, ასევე, ნიუ - ჯერსი სითი უნივერსიტეტის გამოცდილების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიზნები შესაბამისი და აკადემიურად აქტუალურია,

დამატებითი ინფორმაცია მათი განხორციელების, თანმიმდევრულობის და სწავლის შედეგების გაზომვადობასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფდა მეტ სანდოობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამას და სილაბუსებს;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი - ინტერვიუები სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები რექტორის აპარატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელექტრონული სწავლება და სხვ.);
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი.

რეკომენდაციები. არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაში დაზუსტდეს, თუ როგორ განხორციელდება მიზნები პრაქტიკაში და ჩამოყალიბდეს მკაფიო კავშირი სასწავლო გეგმის შინაარსს, სწავლების მეთოდებს და შეფასების სტრატეგიებს შორის. გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში უნდა განისაზღვროს გაზომვადი ინდიკატორები (მაგალითად, კონკრეტული კომპეტენციები, შესრულების სამიზნე ნიშნულები, კურსდამთავრებულების შედეგები), რაც უზრუნველყოფს მიზნების მიღწევის სისტემატურ შეფასებას. სასურველია, სასწავლო კურსებს, სწავლის შედეგებს და შეფასების პრაქტიკებს შორის გაძლიერდეს შიდა თანმიმდევრულობა და შესაბამისობა, რაც გაზრდის პროგრამის მიზნების გამჭვირვალობას და სანდოობას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგების საფუძველზე, გამოვლინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების სტრუქტურა ზოგადად ლოგიკურია და შეესაბამება მედიახელოვნების სფეროს მოთხოვნებს. თუმცა, აღნიშნული შესაბამისობა უმეტესწილად კონცეპტუალური ხასიათისაა, შესაბამისად, საჭიროა დამატებითი დასაბუთება თუ რამდენად თანმიმდევრულად მოხდება მათი განხორციელება პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია თანმიმდევრული პროცესის შედეგად, დარგის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. აღნიშნული პროცესში ჩართული იყვნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, დამსაქმებლები, ადგილობრივი და საერთაშორისო გარე შემფასებლები, როგორც საქართველოში, ისე აშშ-ში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინკლუზიური მიდგომა მისასალმებელია, წარმოდგენილ მტკიცებულებებში ნაკლებად არის წარმოდგენილი ინფორმაცია მათი ჩართულობის სიღრმისა და გავლენის შესახებ, რაც ართულებს შეფასებას - თუ რა გავლენა იქონია დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა საბოლოო სწავლის შედეგებზე.

შეიძლება ითქვას, რომ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, მის შინაარსთან და თანხვედრაშია საბაკალავრო საფეხურზე მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. სწავლის შედეგებში ასევე ასახულია დისციპლინის სპეციფიკური ბუნება და შრომის ბაზრის მოთხოვნები. სასურველია, გაძლიერდეს დამსაქმებლების ჩართულობის და შესაბამისი გამოკითხვის შედეგების სისტემატიზაცია და ჩამოყალიბდეს უფრო ყოვლისმომცველი პროცესის სახით, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული შესაბამისობის სანდოობას.

გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ხელს უწყობს უწყვეტი განათლებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას და მოტივაციას უქმნის კურსდამთავრებულებს, მუდმივად განავითარონ ცოდნა, უნარები და პროფესიული კომპეტენციები, აკადემიური და ინდუსტრიული მოთხოვნების შესაბამისად.

ზოგადად, სწავლის შედეგები კარგად არის ფორმულირებული და ეხმიანება პროგრამის ფართო მიზანს. საერთო ჯამში, სწავლის შედეგები ითვალისწინებს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო ძირითადი კომპეტენციების განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა მედიახელოვნება, კომუნიკაცია და კრიტიკული აზროვნება. თუმცა, სასურველია, მათი უფრო

კონკრეტულად ფორმულირება და უფრო მკაფიო კავშირი შეფასებასა და პროგრამის განხორციელებას შორის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი, მათ შორის ინტერვიუები სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელექტრონული სწავლება და სხვ.);
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი.

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან პროგრამა ახალია, ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებები ეფუძნება სკოლის ფარგლებში მოქმედ პროგრამებში განხორციელებულ აქტივობებს და პროცესებს. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება რეგულარულად და სისტემურად.

ცალკეული კურსების დონეზე, სწავლის შედეგები ფასდება ყოველ სემესტრში და ამ მიმართულებით, სტატისტიკური მონაცემები მუდმივად გროვდება და მუშავდება. შეფასების პროცესი ეყრდნობა რამდენიმე წყაროდან მიღებულ მტკიცებულებებს, ხოლო საბოლოო მიგნებები გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რა დონეზე იქნა მიღწეული მოსალოდნელი სწავლის შედეგები.

სწავლის შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და პროგრამის ხელმძღვანელებს. სასწავლო პროცესის ზედამხედველობას უზრუნველყოფენ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურული ერთეულები და უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მონიტორინგის აღნიშნული ჩარჩო მოიცავს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების უწყვეტ შეფასებას.

შეფასების მიდგომა მოიცავს როგორც პირდაპირ (მაგალითად, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი), ისე არაპირდაპირ მეთოდებს (მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვები), რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიანობის ყოვლისმომცველ გაგებას.

შეფასების პროცესი მოიცავს ოთხ ძირითად ეტაპს:

- პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა და ფორმულირება;
- სასწავლო გეგმის ანალიზი იმის შესაფასებლად, თუ რამდენად უწყობს აღნიშნული ხელს დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას;
- სწავლის შედეგების სისტემატური შეფასება მონაცემების შეგროვების, ანალიზის და ინტერპრეტაციის გზით, სტუდენტების მიღწევების დონის გასაზომად;
- შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესების და მხარდაჭერის მიზნით.

უკუკავშირის მექანიზმები სათანადოდ არის შემუშავებული და თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები. მედიახელოვნების საბაკალავრო პროგრამა იყენებს სტრუქტურირებულ მიდგომას შედეგების მონიტორინგის და მათი სამიზნე ნიშნულებთან შედარების, ასევე, მიგნებების პროგრამის გაუმჯობესებისთვის გამოყენების მი მიზნით. შეფასების ჩარჩო ასევე ითვალისწინებს შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგებს, ძირითად კურსებს და ხელმისაწვდომ სპეციალიზაციებს შორის. აღნიშნულ კონტექსტში პროგრამის გუნდმა შეიმუშავა სასწავლო გეგმის შესაბამისობის რუქების სისტემა, რომელიც ასახავს კავშირს ცალკეულ კურსებს და პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს შორის.

აკადემიურ პერსონალი აქვს მხარდაჭერა სწავლის შედეგების განსაზღვრის, გაზომვის და ანალიზის კომპეტენციების განვითარების მხრივ. კურსების და პროგრამის სწავლის შედეგებს

შორის შესაბამისობის შეფასება ხორციელდება კურსების და სავალდებულო კომპონენტების დასრულების შემდეგ, თანმიმდევრულობის საკითხების, პერიოდულობის და პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით.

და ბოლოს, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას სწავლის შედეგების შეფასების შედეგების შესახებ, რაც ხელს უწყობს მეტ გამჭვირვალობას და ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი, მათ შორის ინტერვიუები სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელექტრონული სწავლება და სხვ.);
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის და ადგილზე ვიზიტის დროს, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებისსაფუძველზე გამოიკვეთა, რომ მედიახელოვნების სამწლიანი საბაკალავრო პროგრამას გააჩნია სტრუქტურირებული ჩარჩო დაპოტენციალი, ხელი შეუწყოს ყოველმხრივ განვითარებული და კომპეტენტური სპეციალისტების მომზადებას, შემოქმედებითი სექტორისთვის, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამა შემუშავებულია კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ - ჯერსი სითი უნივერსიტეტის ინსტიტუციური ჩარჩოების შესაბამისად. აღნიშნული პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს შედეგზე ორიენტირებული პროგრამის განვითარებას, რომელიც აკმაყოფილებს მაღალ აკადემიურ სტანდარტებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შესაბამისობა ფორმალურად თვალსაჩინოა, სასურველია, უფრო მკაფიოდ იყოს წარმოჩენილი მითითებული სტანდარტების პრაქტიკული განხორციელება და მუდმივი გაუმჯობესება.

პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, პროგრამა შეესაბამება ბოლონიის პროცესის პრინციპებს, ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემას (ECTS) და აშშ - ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმებს. პროგრამა მოიცავს 200 ECTS კრედიტს, რომელიც განაწილებულია სამ წელზე (ექვს სემესტრზე): პირველი ორი წლის განმავლობაში, სტანდარტული განაწილება ითვალისწინებს 75 კრედიტს წელიწადში, ხოლო ბოლო წელს - 50 კრედიტს; 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათიან სასწავლო დატვირთვას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსს და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს.

მედიახელოვნების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ორგანიზებულია შემდეგნაირად:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი: 150 ECTS კრედიტი
- ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი: 15 ECTS კრედიტი
- თავისუფალი კომპონენტი: 35 ECTS კრედიტი

სემესტრების ფარგლებში, კურსები განაწილებულია ლოგიკურად, რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულ აკადემიურ განვითარებას. თუმცა, სასარგებლო იქნებოდა პროგრამის

სტრუქტურის გადახედვა. აღსანიშნავია, რომ კურსებს შორის წინაპირობების არარსებობა შესაძლებელია გახდეს გარკვეული გამოწვევა, სტუდენტების პროგრესიასთან და სამწლიანი ციკლის, განსაკუთრებით პირველი ორი წლის განმავლობაში საგნობრივი კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებასთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში გათვალისწინებულია უახლესი კვლევის შედეგები და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები, სასწავლო გეგმაში სათანადოდ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები მათი ინტეგრაციის შესახებ.

აკადემიური თვალსაზრისით, მედიახელოვნება არის პროგრამის მთავარი ფოკუსი, თუმცა აღნიშნული არ არის საკმარისად და თანმიმდევრულად ასახული სასწავლო გეგმაში. პროგრამის ფარგლებში დანერგილი ინტერდისციპლინური მიდგომა არის მნიშვნელოვანი, თუმცა არსებული ფორმით ის მეტად ფართოა და შესაძლოა გართულდეს მისი ეფექტური განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად, სასწავლო გეგმა მრავალფეროვანი და ინტერდისციპლინური კომპონენტებისგან შედგება, უმჯობესი იქნებოდა პროგრამას მკაფიო კონცეპტუალური ჩარჩო ჰქონოდა. მკაფიო ფოკუსი ხელს შეუწყობდა კურსებს შორის თანმიმდევრულობას, გაუმჯობესებდა სწავლის შედეგების ლოგიკურ პროგრესიას სასწავლო წლების განმავლობაში და გააძლიერებდა შესაბამისობას სასწავლო გეგმის თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევაზე ორიენტირებულ კომპონენტებს შორის.

სასურველია, უფრო მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი აკადემიური მიმართულება. ინტერდისციპლინური მიდგომის მკაფიოდ დაკავშირება მედიახელოვნებასთან, განსაკუთრებით აუდიოვიზუალურ მიმართულებასთან, მეტად გააძლიერებდა პროგრამის თანმიმდევრულობას. პროგრამის ფარგლებში ისეთი ფართო სფეროების გათვალისწინებამ, როგორიცაა ხელოვნება, დიზაინი, კომუნიკაცია, კინო, საშემსრულებლო და თეატრი, შეიძლება შეასუსტოს პროგრამის ფოკუსი. მიზანმიმართული აქცენტი თანამედროვე მედიახელოვნებაზე, ვიზუალური ხელოვნების და ვიზუალური კულტურის სფეროებზე გააძლიერებს პროგრამის აკადემიურ სიღრმეს და საერთო სიცხადეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი, მათ შორის ინტერვიუები სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელექტრონული სწავლება და სხვ.);
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ხელახლა განისაზღვროს საბაკალავრო პროგრამის ფოკუსი - პროგრამის სტრუქტურის და სასწავლო კურსების დახვეწით, ასევე, ჩამოყალიბდეს მკაფიო ცენტრალური კვლევითი ფოკუსი მედიახელოვნებაში, თანამედროვე აუდიოვიზუალური ხელოვნების და კულტურის კონცენტრაციით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგების საფუძველზე გამოვლინდა, რომ მედიახელოვნების სამწლიანი საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების განაწილება შეესაბამება მოსალოდნელ სწავლის შედეგებს. კურსების სილაბუსები მკაფიოდ არის შემუშავებული და მოიცავს სწავლება - სწავლის პროცესის დეტალურ აღწერას. მათში ასევე მოცემულია ისეთი ძირითადი ელემენტები, როგორიცაა ბიბლიოგრაფია, შეფასების მეთოდები და დამხმარე სასწავლო მასალები, რაც უზრუნველყოფს საერთო გამჭვირვალობას.

პროგრამის შესაბამისობა ბოლონიის პროცესთან კიდევ უფრო აძლიერებს კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს შორის კავშირს. განსაზღვრული 200 კრედიტი მოიცავს როგორც საკონტაქტო საათებს, ისე სტუდენტების დამოუკიდებელი სწავლის დროს, სადაც 1 კრედიტი შეესაბამება 25 საათიან სასწავლო დატვირთვას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტრუქტურა შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, ძირითადი აქცენტი კეთდება ფორმალურ შესაბამისობაზე, ვიდრე სასწავლო დატვირთვის განაწილების პრაქტიკულობაზე.

კურსის დონეზე სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო მათი მიღწევა ფასდება სილაბუსებში განსაზღვრული კომპონენტების და კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასების ჩარჩო სისტემურია და კარგად არის აღწერილი თვითშეფასების ანგარიშის დანართებში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისობა მკაფიოდ არის დოკუმენტირებული, შეფასების გაძლიერების მიზნით, სასურველია, წარმოდგენილ იქნეს დამატებითი მტკიცებულებები თუ როგორ ვლინდება აღნიშნული სტუდენტების გაზომვად მიღწევებში.

აკადემიური თვალსაზრისით, პროგრამის კურსები კარგად არის განსაზღვრული და ასახავს მედიახელოვნების სფეროს მიღწევებს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. რეკომენდებული ლიტერატურა და სასწავლო რესურსები შესაბამისია და მეტწილად განახლებულია, რაც ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ადგილობრივი პერსპექტივების გათვალისწინება წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს, რაც სწავლება - სწავლაში უზრუნველყოფს კონტექსტუალურ რელევანტურობას.

მიუხედავად ამისა, გამოვლენილ იქნა მიმართულებები, სადაც საჭიროა პროგრამის შემდგომი გაძლიერება. კერძოდ, ისეთი კურსების გაღრმავება და გაფართოება, როგორიცაა კონტექსტუალური და კრიტიკული კვლევები (მედიახელოვნება / მედია კვლევები, ვიზუალური კომუნიკაცია / ვიზუალური წიგნიერება, ხელოვნების და დიზაინის საფუძვლები, ხელოვნების, კინოს და მედიის ისტორია), გააძლიერებს სტუდენტების ანალიტიკურ სიღრმეს და კრიტიკულ ჩართულობას მედიახელოვნების სხვადასხვა სფეროში. გარდა ამისა, სასურველია, გადაიხედოს კურსების განაწილება პირველი ორი სასწავლო წლის ფარგლებში, რომ პირველ წელს განხორციელდეს შესავალიკურსები, ხოლო მეორე წელს უფრო დარგობრივი კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი, მათ შორის ინტერვიუები სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- უნივერსიტეტის ვებ - გვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელექტრონული სწავლება და სხვ.);
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი.

[რეკომენდაციები](#).

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია გაუმჯობესდეს პირველი ორი სასწავლო წლის საბაზისო კურსების თანმიმდევრულობა, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მკაფიო პროგრესია: საბაზისო კურსები უნდა ისწავლებოდეს პირველ წელს, ხოლო უფრო მოწინავე, კონცეპტუალურად ან ტექნიკურად მოთხოვნადი კურსები მეორე წელს. აღნიშნული უფრო ლოგიკურია სწავლების პროცესში, ხელს შეუწყობს ცოდნის დაგროვებას და უკეთესად მოამზადებს სტუდენტებს ბოლო აკადემიური წლისათვის.

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება - სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ - ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მედიახელოვნების სამწლიან ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე მიიღებიან პირები, რომლებიც ფლობენ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს. სტანდარტული მიღება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტებს ევალებათ ინგლისური ენის ცოდნის მინიმუმ B2 დონეზე დადასტურება, რაც შესაძლებელია საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატების წარდგენით (მაგალითად, IELTS - 6.0 ქულა, TOEFL - 78 ქულა ან ეკვივალენტური დოკუმენტი). აბიტურიენტს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება ასევე შეუძლია უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული B2 დონის ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებით.

მიღებისთვის დაწესებული მოთხოვნები შეესაბამება პროგრამის აკადემიურ პროფილს და ხელს უწყობს პროგრამაზე ისეთი კანდიდატების ჩარიცხვას, რომლებიც შეძლებენ ეფექტურად აითვისონ მედიახელოვნების განათლების როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ".

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მედიახელოვნების სამწლიანი ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული კომპეტენციების სისტემურ განვითარებას. სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი ორიენტირებულია პრაქტიკაზე. დარგობრივი კურსები, რომლებიც ასახავენ რეალურ პროფესიულ გარემოს, უზრუნველყოფენ სტუდენტების ჩართულობას ინდივიდუალურ და ჯგუფურ პროექტებში.

სწავლების პერიოდში, სტუდენტები იღებენ როგორც მატერიალურ - ტექნიკურ, ისე ინტელექტუალურ მხარდაჭერას. ამისათვის, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მედია სკოლის სტუდია. აღნიშნული რესურსები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, თანამედროვე ინსტრუმენტების და მეთოდების გამოყენებით, ჩაატარონ ექსპერიმენტები, შექმნან და დახვეწონ ნამუშევრები.

ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის მედია სკოლის ძირითადი პრინციპია აკადემიური სწავლების, კვლევის და პრაქტიკის ინტეგრაცია. აღნიშნული დასტურდება ინსტიტუციური მექანიზმებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტების მიერ განორციელებული კვლევების აქტიურ მხარდაჭერას. კერძოდ, სკოლა რეგულარულად აცხადებს სტუდენტური კვლევითი თემების და პროექტების ღია კონკურსს, რაც ხელს უწყობს კონკურენტულ და დამსახურებაზე დაფუძნებულ შერჩევის პროცესს. შერჩეულ სტუდენტებს კვლევის დეპარტამენტი უწევს ხელმძღვანელობას და მხარდაჭერას საბაკალავრო ნაშრომების პროექტების შემუშავებისა და კვლევითი მიმართულებების განსაზღვრის პროცესში. აღნიშნული სტრუქტურირებული მიდგომა ხელს უწყობს ანალიტიკური, შემოქმედებითი და კვლევაზე ორიენტირებული კომპეტენციების განვითარებას და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის ეფექტურ გამოყენებას.

პროგრამის მესამე აკადემიური წელი ხორციელდება ნიუ - ჯერსი სითი უნივერსიტეტში, სადაც ისწავლება ძირითადი ტექნიკური კურსები. სასწავლო პროცესი ხორციელდება სრულად აღჭურვილ სასწავლო გარემოში, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა ინდუსტრიულ, სტანდარტებთან შესაბამის ობიექტებსა და ტექნოლოგიებზე, რაც აუცილებელია მაღალი დონის აუდიოვიზუალური პროდუქციის შესაქმნელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

[რეკომენდაციები](#).

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამა და კომუნიკაციის დიზაინი) სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო კურსების განათლების საფეხურს და ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტებს. საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტის განსახორციელებლად უნივერსიტეტი იყენებს სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდს: სწავლების ვერბალური მეთოდი; ლიტერატურასა და პუბლიკაციებზე მუშაობის მეთოდი; წერილობითი სამუშაოს მეთოდი; გუნდური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი; დემონსტრაციის მეთოდი; ინდუქციური მეთოდი; დედუქციური მეთოდი; ანალიზის, სინთეზის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; ინტერაქტიული მეთოდი; შედარებითი მეთოდი; მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; თანამშრომლობითი სწავლება; დისკუსია/დებატები; გონებრივი შეტევა.

გარდა ამისა, ლექტორი უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროცესში გამოიყენოს ისეთი მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული. განსხვავებული მეთოდის გამოიყენების შემთხვევაში, ინფორმაცია აისახება სასწავლო გეგმაში.

პროგრამის დოკუმენტაცია და თვითშეფასების ანგარიში აღწერს სხვადასხვა სწავლების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება კურსების მიზნებს, სასწავლო გეგმები არის მკაფიო და შეიცავს საჭირო თეორიულ ინფორმაციას, აუცილებელ ლიტერატურასა და სემინარების სახით, პრაქტიკულ დავალებებს. სასწავლო გეგმები ასევე მოიცავს სწავლების დამოუკიდებელ მეთოდს, რაც სტუდენტს მეტი ექსპერიმენტის ჩატარებასა და დაშვებულ შეცდომებზე დაკვირვებაში ეხმარება. სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- ადგილზე ვიზიტი

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტისა და ნიუ ჯერსი სითის უნივერსიტეტის (NJCU) მიერ ერთობლივად განხორციელებული მედია ხელოვნების სამწლიანი საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2007 წლის 5 იანვარს გამოცემული N3 ბრძანების შესაბამისად. სტუდენტების შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები, ორივე უნივერსიტეტში, შემუშავებულია დადგენილი რეგულაციების შესაბამისად და არის გამჭვირვალე, სანდო და შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას.

იმის გათვალისწინებით, რომ მედია ხელოვნების პროგრამა ახლადშექმნილია, ინტერვიუები ჩატარდა მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, სწავლის პროცესში, მათ არანაირი პრობლემა არ შექმნიათ.

თითოეული კურსის სასწავლო გეგმა მოიცავს შეფასების კრიტერიუმების დეტალურ აღწერას, შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასებას. ინტერვიუების პროცესში სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თითოეული კურსის დასაწყისში ისინი კურსის ინსტრუქტორებისგან იღებდნენ დეტალურ ინფორმაციას შეფასების კრიტერიუმებისა და კურსის განხორციელების შესახებ. ასევე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ლექტორებთან კონსულტაციები ამ საკითხებთან დაკავშირებით მუდმივად ხელმისაწვდომი იყო. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები არის გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და სტუდენტებისთვის წინასწარ ცნობილი.

სტუდენტები ფასდებიან როგორც შემაჯამებელი, ასევე, განმავითარებელი შეფასების მეთოდების გამოყენებით. შემაჯამებელი შეფასების მიზანია სტუდენტის მოსწრების ზუსტად შეფასება, სწავლის ხარისხის მონიტორინგი და კურსის მიზნებთან მიმართებაში მიღწევის დონის დადგენა. განმავითარებელი შეფასება ორიენტირებულია განვითარებაზე და სტუდენტებს მათი პროგრესის შესახებ შესაბამის უკუკავშირს აძლევს.

შეფასების სისტემა 100-ქულიან სკალაზეა დაფუძნებული და მოიცავს:

ა) დადებითი სახის ხუთ შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ბ) ორ უარყოფით შეფასებას:

- (FX) ჩაჭრა – 41–50 ქულა, რაც მიუთითებს, რომ სტუდენტს დამატებითი სამუშაო სჭირდება და დამოუკიდებელი მომზადების შემდეგ მას გამოცდის ხელახლა ჩაბარების უფლება აქვს.
- (F) ჩაჭრა – 40 ქულა ან ნაკლები, რაც მიუთითებს არასაკმარის შესრულებაზე და კურსის

ხელახლა გავლის აუცილებლობაზე.

კრედიტები ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც აერთიანებს შუალედურ და საბოლოო შეფასების შედეგებს.

სწავლის შედეგების მიღწევა განისაზღვრება როგორც შუალედური, ასევე, საბოლოო შეფასებებით, განსაზღვრული წონის განაწილებითა და მინიმალური კომპეტენციის ზღვრებით. შუალედური შეფასებისთვის გამოყოფილია 70 ქულა, ხოლო საბოლოო გამოცდისთვის - 30 ქულა. საბოლოო გამოცდაზე გასასვლელად, შუალედური შეფასების კომპონენტებში საჭიროა მინიმუმ 59%-ის დაგროვება. შუალედური შეფასება მოიცავს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, რომელთა ჯამი 70 ქულაა, თითოეული მათგანი ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, დავალებაზე ორიენტირებულ კრიტერიუმებსა და შესაბამის რუბრიკებს. საბოლოო გამოცდაზე გასასვლელად სტუდენტმა შუალედურის 70 ქულიდან სულ მცირე 59% უნდა დააგროვოს. საბოლოო გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი პირველ ეტაპზე 30 ქულიდან მინიმუმ 51%-ს დააგროვებს, ხოლო შემდგომ ეტაპებზე - 60%-ს.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს ასევე გამოიკვეთა უკუკავშრის საკითხი. რესპონდენტებმა განაცხადეს, რომ ისინი მუდმივად იღებდნენ როგორც ზეპირ, ასევე, წერილობით უკუკავშირს მათი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. როგორც ინსტიტუციური რეგულაციებიდან და გასაუბრების შედეგებიდან ჩანს, სტუდენტების შეფასება გამყარებულია მექანიზმებით, რომლებიც უზრუნველყოფს აკადემიურ და კვლევით ეთიკას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, ასევე, პლაგიატის პრევენციას, გამოვლენასა და მასზე რეაგირებას. უნივერსიტეტმა შეიმუშავა აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი, რომელიც აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ აკადემიური წერის კურსების მეშვეობით, ისინი მუდმივად იღებენ ინფორმაციას აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ. გარდა ამისა, რეგულარულად იმართება შეხვედრები და საჯარო ლექციები აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ.

ინტერვიუები ასევე შეეხო შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურას. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ და მიმართავდნენ აღნიშნულ პროცედურას.. ინსტიტუციური რეგულაციების თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის შემთხვევაში, სტუდენტი წერილობით მიმართავს ადმინისტრირებისა და მონიტორინგის ვიცე-პრეზიდენტს, სადაც ნათლად მიუთითებს ლექტორის შეფასებასთან მიმართებით, მისი უთანხმოების საფუძვლებს. ორი სამუშაო დღის განმავლობაში, განაცხადი განიხილება შესაბამის მარეგულირებელ დებულებებთან შესაბამისობის დასადასტურებლად. თუკი განაცხადი ჩაითვლება დასაშვებად, ის საგამოცდო ნაშრომთან ერთად სამი სამუშაო დღის ვადაში გადაეგზავნება ლექტორს. ლექტორი სამი სამუშაო დღის ვადაში ამზადებს წერილობით ანგარიშს, სადაც იძლევა დასაბუთებულ პასუხს და, საჭიროების შემთხვევაში, ასწორებს შეფასებას. დეპარტამენტი იმავე დღეს აცნობებს სტუდენტს გადაწყვეტილებას.

უნივერსიტეტი მუდმივად აფასებს სწავლის შედეგებს და იყენებს მათ საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად. ამას მოწმობს სამწლიანი ერთობლივი მედია ხელოვნების პროგრამის (აშშ-ს ნიუ-ჯერსი სითის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით) სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და CSM-ის ყოველწლიური ანგარიში.

განხილული დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ,

რომ სტუდენტის შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად და არის გამჭვირვალე, სანდო და კანონმდებლობის შესაბამისი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურსის სილაბუსები;
- სტუდენტის სტატუსის დებულება;
- გამოცდის პროცედურის დებულება;
- კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი;
- ერთობლივი მედია ხელოვნების პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (NJCU-სთან, აშშ);
- CSM-ის ყოველწლიური ანგარიში;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები.

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4. სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტი სტუდენტებს მხარდაჭერისა და საკონსულტაციო მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ისინი განუწყვეტლივ იღებენ ინფორმაციას აკადემიური დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმების შესაძლებლობებისა და კარიერული განვითარების შესახებ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა ინსტიტუციური მომსახურება, რაც სტუდენტებისთვის მხარდაჭერის მაღალ დონესა და ინფორმაციულ გარემოს ქმნის.

ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ სწავლის დაწყებისას, პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის იმართება გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, რომლის დროსაც ისინი ეცნობიან პროგრამის სტრუქტურას, ხვდებიან უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და სასწავლო პროცესში ეფექტური ჩართულობისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას იღებენ. უნივერსიტეტის პერსონალი, მათ შორის პროგრამის პერსონალი და სტრუქტურული ერთეულები, უზრუნველყოფენ სტუდენტების სათანადო ინფორმირებას არსებული საკონსულტაციო მომსახურებების შესახებ. თითოეული კურსის სასწავლო გეგმა მოიცავს საკონსულტაციო საათებს, რომლის დროსაც სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ კონსულტაცია ლექტორებთან ნებისმიერ შესაბამის აკადემიურ საკითხზე.

უნივერსიტეტი, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშესაწყობად, სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებას. სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა განაცხადეს სპორტულ, კულტურულ და საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობის შესახებ, მათ შორის საფეხბურთო ჩემპიონატებში, თეატრალურ აქტივობებში, ვიქტორინებში („რა? სად? როდის?“), სტუდენტურ ექსკურსიებში და სხვა.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ასევე აღნიშნეს, რომ, ელექტრონული ფოსტისა და SMS-ების მეშვეობით, ისინი რეგულარულად იღებენ ინფორმაციას მიმდინარე პროექტების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვადასხვა აქტივობების შესახებ. პირველი და მეორე კურსის სტუდენტებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით კონსულტაციას უწევენ კავკასიის უნივერსიტეტის თანამშრომლები, ხოლო მესამე კურსის სტუდენტებს - ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის ფართო ქსელი და დაინტერესებულ პირებს სთავაზობს სტუდენტთა გაცვლის შესაძლებლობებს სხვადასხვა მიმართულებით. თუ პროგრამა მიიღებს აკრედიტაციას, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა, ერთი წლის განმავლობაში ისწავლონ ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. სტუდენტებმა ასევე ხაზი გაუსვეს, რომ ისინი რეგულარულად იღებენ ინფორმაციას კონფერენციების შესახებ, თუმცა, მათი მონაწილეობა ამგვარ აქტივობებში შედარებით შეზღუდულია. დაწესებულებამ წარმოადგინა მონაცემები

სტუდენტების კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ, რაც მიუთითებს, რომ CSM-ის სტუდენტები ჩართულნი არიან ამგვარ აქტივობებში; თუმცა, რეკომენდებულია, რომ სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტმა კიდევ უფრო მეტი იმუშაოს ამ მიმართულებით.

CSM-ის სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მედიასტუდია, რომელიც პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და სხვადასხვა გამოყენებითი აქტივობებით დაკავების შესაძლებლობას იძლევა. კურსდამთავრებულებმა ასევე აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უჭერს მხარს მათ პროფესიულ განვითარებას. ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა დააფიქსირა, რომ საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კავკასიის უნივერსიტეტის მარკეტინგის დეპარტამენტში დასაქმდა. ასევე, აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე, სტუდენტებმა გაიარეს სტაჟირება და შემდგომში დასაქმდნენ თავიანთ პროფესიულ სფეროებში - წამყვან ტელევიზიებში, მედია ორგანიზაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში. ამ მხრივ, კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერის სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს ომბუდსმენის ოფისი, რომელიც განიხილავს სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების დარღვევის საკითხებს და გასცემს შესაბამის კონსულტაციებს.

შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები, აკადემიური დაგეგმვის, აკადემიური პროგრესისა და კარიერული განვითარების საკითხებში, უზრუნველყოფილნი არიან ყოვლისმომცველი კონსულტაციითა და მხარდაჭერით. მათ ასევე აქვთ წვდომა მრავალფეროვან სასწავლო შესაძლებლობებზე და პროგრამის პერსონალისგან იღებენ შესაბამის ინფორმაციასა და ხელმძღვანელობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დებულება;
- კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერის სამსახურის დებულება;
- აკადემიური პროცესის მართვისა და სტუდენტების რეგისტრაციის სამსახურის დებულებები;
- აკადემიური მონიტორინგისა და სტუდენტური მომსახურების დეპარტამენტის დებულებები;
- სტუდენტთა ომბუდსმენის დებულება;
- სტუდენტების მონაწილეობა გაცვლით პროგრამებსა და სამეცნიერო აქტივობებში;
- პარტნიორი ორგანიზაციები;
- საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები;
- ვებ-გვერდი;
- ინტერვიუები.

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- სასურველია, რომ დაწესებულებამ კიდევ უფრო გააძლიეროს სტუდენტების მოტივაცია და ინტერესი, სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა
➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრატურის სტუდენტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად. ➢ სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა](#)	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია — მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის (სულ 34 პირი) პირადი საქმეები — ადასტურებს, რომ მედია ხელოვნების 3 წლიან ერთობლივ საბაკალავრო აკადემიურ პროგრამაში ჩართული პირების კვალიფიკაცია შეესაბამება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მინიჭებულ ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება „აკადემიური პერსონალის დაქირავებისა და კონკურსით შერჩევის ერთიანი წესების“ შესაბამისად. როგორც ადმინისტრაციულმა პერსონალმა აღნიშნა, პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ მრავალფეროვანი პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების მქონე პროფესიონალები, რომლებიც მუშაობენ შესაბამისი სფეროს წამყვან კომპანიებში, მონაწილეობენ საჯარო დისკუსიებსა და სამეცნიერო კონფერენციებში და ახორციელებენ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებს. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებმა არაერთხელ დააფიქსირეს აღნიშნული მიდგომა, როგორც პროფესიაში მომავალი ინტეგრაციისა და დასაქმების მნიშვნელოვანი აქტივი.

აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეესაბამება პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების შეზღუდულ რაოდენობას, ხოლო სამუშაო დატვირთვის განაწილება მიუთითებს, რომ პერსონალს შეუძლია ეფექტურად შეასრულოს მათზე დაკისრებული მოვალეობები.

პროგრამის ხელმძღვანელების, პროფესორ ანა მგალობლიშვილის (დოქტორი) და ასისტენტ-პროფესორ გიორგი სალუქვაძის პირადი საქმეები, სახვითი და საშემსრულებლო ხელოვნების სფეროებში მათი მაღალი დონის კომპეტენციას ადასტურებს. ის სფეროები, სადაც მედია ხელოვნების სპეციფიკური გამოცდილება ნაკლებად არის წარმოდგენილი CU გუნდში, ეფექტურად ივსება NJCU-ს პროფესიონალების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს, რომ პროგრამას ჰქონდეს სრულყოფილი და დაბალანსებული აკადემიური პროფილი. გარდა ამისა, ფაკულტეტის დეკანი, ნინო ჟიჟილაშვილი — გამოცდილი ჟურნალისტი, რომელსაც აქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული გამოცდილება და ძლიერი დარგობრივი კავშირები მედიისა და ჟურნალისტიკის სფეროებში — ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების პროცესში, არაერთხელ იყო ნახსენები, როგორც მნიშვნელოვანი ფიგურა, მათი დასაქმების პერსპექტივების მხარდაჭერისა და პროფესიული დარგობრივი კონტაქტების განვითარების კუთხით.

კომუნიკაციის ხარისხისა და სასწავლებელში ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რეაგირების მიმართულებით, ციფრული კომუნიკაციისა და მედია ხელოვნების პროგრამის ყველა გამოკითხულმა სტუდენტმა კმაყოფილება გამოთქვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება მიჩნეულ იქნას ამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისად.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [5]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**34**	**29**	**8**	**9** **4 (CU)** **5 (NJCU)**
- პროფესორი	9	8	3	**5**
- ასოცირებული პროფესორი	3	3	1	1
- ასისტენტ–პროფესორი	4	4	-	3
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	18	14	4	_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამები და სილაბუსები.
- აკადემიური პერსონალის სია და აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის დოკუმენტი
- ინტერვიუ სტუდენტებთან (ციფრული კომუნიკაცია და მედია ხელოვნება)
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან (საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა და ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა)

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

[5]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.1. ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

4.2 მაგისტრანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრატურის სტუდენტებს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არ ეხება

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია](#)	აირჩიეთ შესაბამისი

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ჩატარებულ გასაუბრებებთან ერთად, ადასტურებს, რომ დაწესებულება პროგრამის პერსონალის შეფასებისა და შედეგების რეგულარული განხილვის კარგად სტრუქტურირებულ და სისტემურ მიდგომას იყენებს, რაც რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასების“ წესით. პერსონალის შეფასება ხორციელდება განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც მოიცავს პედაგოგიურ კომპეტენციას, საგნის მართვასა და პროფესიულ და კვლევით საქმიანობას. ხარისხის უზრუნველყოფის გუნდთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სასწავლო პროცესის ხარისხის შესაფასებლად რეგულარულად ტარდება სტუდენტური გამოკითხვები; შემდგომში შედეგები განიხილება და

გამოიყენება სწავლების მეთოდების დახვეწის და საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო გეგმის ან დანიშნული პერსონალის განვითარების მიზნით.
დაწესებულებამ შექმნა სპეციალური ორგანო — კვლევის მხარდაჭერის დეპარტამენტი — რომლის ამოცანაა პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობა, არსებული გრანტების შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი ინფორმაციის დროული გავრცელება. ამ მიზნით, წელიწადში ორჯერ ცხადდება საპროექტო შეთავაზებების შიდა კონკურსი. წარდგენილ პროექტებს აფასებს და ირჩევს კავკასიის უნივერსიტეტის სკოლის დეკანებისა და გარე ექსპერტებისგან შემდგარი საპრიზო ჟიური, რის შემდეგაც დამტკიცებული პროექტები ექვემდებარება ორმაგ ზედამხედველობას — პროგრამულ მონიტორინგს კვლევის მხარდაჭერის დეპარტამენტის მიერ და ფინანსურ მონიტორინგს ფინანსური დეპარტამენტის მიერ. აღნიშნული დამხმარე სტრუქტურები და დაფინანსების მექანიზმები დადასტურდა, როგორც ადმინისტრაციულ წარმომადგენლებთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებების მეშვეობით, რომლებმაც დააფიქსირეს არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმირებულობა და მათზე წვდომა.
2019 წლის იანვარში, კავკასიის მედიის სკოლამ დააარსა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის მიზანია სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ორგანიზება და ზედამხედველობა, ასევე, დაწესებულების სამეცნიერო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ცენტრის ძირითადი ფუნქციები მოიცავს სამეცნიერო გრანტების პროექტების განხორციელებასა და მხარდაჭერას, კავკასიის უნივერსიტეტის ჟურნალებსა და პუბლიკაციების კრებულებში აკადემიური პერსონალის სტატიებისა და სამეცნიერო ნაშრომების რედაქტირებისა და გამოქვეყნების კოორდინაციას, საერთაშორისო აკადემიურ აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობას და სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებასა და მასპინძლობას.
აკადემიური პერსონალის კვლევითი ხარჯები - 46,941 ლარი, სპეციალურად გამოყოფილია ბიუჯეტში ერთობლივი მედია ხელოვნების პროგრამისთვის, რაც დასტურდება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ 2025 წლის 15 ნოემბერს ხელმოწერილი N100/01-08 ბრძანებით.
მედიის სკოლის აკადემიური პერსონალი რეგულარულად მონაწილეობს Erasmus+ მობილობის პროგრამებში. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ასევე აღნიშნეს დაწესებულების მხარდაჭერა საერთაშორისო კონფერენციებში მათი მონაწილეობის დაფინანსების კუთხით, ასევე, მოთხოვნის შემთხვევაში, საჭირო ლიტერატურის მიწოდებაში, რაც მათ სასწავლო და კვლევითი მასალების განახლებისა და გამდიდრების საშუალებას აძლევს. პროფესიული ლიტერატურის უფრო ფართო სპექტრზე წვდომა კიდევ უფრო გამარტივებულია საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების მეშვეობით, რომლებიც პერსონალისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის დაწესებულებებში.
ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტთან (აშშ) თანამშრომლობით განხორციელებული პროგრამის ერთობლივი ხასიათი, პარტნიორი უნივერსიტეტების ქსელის მეშვეობით აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ცოდნის გაცვლისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების უზრუნველყოფით, თავის მხრივ, ხელს უწყობს კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ჩატარებული გასაუბრებები;

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების დოკუმენტები;
- საერთაშორისო პარტნიორების სია;
- პერსონალის განმავითარებელი აქტივობების დოკუმენტი;
- კავკასიის უნივერსიტეტის, კავკასიის მედიის სკოლის ერთობლივი მედია ხელოვნების პროგრამის (ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტთან - აშშ) ბიუჯეტი.

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება](#)	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტი ფლობს თანამედროვე ინფრასტრუქტურას, სრულად აღჭურვილ ობიექტებს საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით — მათ შორის კომპიუტერებით, პროექტორებითა და სხვა დამხმარე რესურსებით — ასევე, საერთო სივრცეებს, როგორიცაა ბიბლიოთეკა, კაფეტერია და მწვანე სივრცეები ღია ცის ქვეშ. კარგად აღჭურვილი აუდიტორიების

გარდა, მედია სკოლას აქვს სპეციალური სტუდია, სადაც განთავსებულია შესაბამისი სპეციალიზებული აღჭურვილობა, მათ შორის:

- 8 ვიდეო კამერა
- 44 ფოტო/ვიდეო კამერა
- 40 სამფეხა სადგარი (tripod)
- 40 უსადენო და დასამაგრებელი მიკროფონი
- 3 პროფესიონალური განათების სისტემა და 1 რბილი განათების ბლოკი
- აუდიო სისტემა: ბუმ-მიკროფონის კომპლექტი სადგამით, ბუმ-ბოძი, საქარე მინა, ხმის მიქსერი, გადასაბრუნებელი კამერა და 7 აუდიო ჩამწერი.
- რედაქტირების 7 კომპიუტერი

ყველა კომპიუტერზე დაინსტალირებულია შესაბამისი პროგრამები, მათ შორის Adobe Premier pro 2022, Audition 2021. როგორც პერსონალთან, ასევე, სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, მედიის სკოლის სტუდია ღია და ხელმისაწვდომია 20:00 საათამდე, რაც სტუდენტებსა და პერსონალს საშუალებას აძლევს ისარგებლონ სასწავლო საათების მიღმაც - ეს დადებითად შეფასდა ინტერვიუების დროსაც. სტუდია, ისევე როგორც გარე გადაღებებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა, წინასწარ უნდა დაიჯავშოს.

გარდა ამისა, ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის კამპუსში მესამე აკადემიური წლის განმავლობაში, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა ისარგებლონ NJCU-ს მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურით. მედია ხელოვნების დეპარტამენტი, რომელიც ფრაის ჰოლში (Fries Hall) მდებარეობს, აღჭურვილია სრულფეროვანი მაუწყებლობის ხარისხის სატელევიზიო სტუდიით, ციფრული მედიის ლაბორატორიებით, რადიოს, აუდიოსა და 16 მმ-იანი ფილმების წარმოების ობიექტებით. დეპარტამენტი ასევე აღჭურვილია სტუდიით/მულტიმედიური წარმოების აუდიტორიით, ორი დიდი პროექციისა და სემინარის ოთახით ყოველკვირეული ჩვენებებისთვის, AVID-ისა და Final Cut Pro-ს ვიდეო მონტაჟის პაკეტებით, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ბოჭკოვანი არხების სერვერით, ორი Mac ლაბორატორიით ციფრული მედიის წარმოებისთვის, Pro-Tools-ის ხმის მონტაჟით და 16 მმ-იანი Steenbeck-ის მონტაჟის პაკეტებით. ფრაის ჰოლის მიმდებარედ, ჯორჯ კარნუცოსის ხელოვნებისა და მეცნიერების დარბაზში, განთავსებულია მედია ხელოვნების დეპარტამენტის 2000 კვადრატული ფუტის ფართობის აუდიო სტუდიები. ეს ულტრათანამედროვე ობიექტი მოიცავს ცოცხალი ჩაწერის სტუდიას, რადიოს მართვის ოთახებს და მრავალტრეკიან პოსტ-პროდაქშენ ნაკრებს.

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ბიბლიოთეკითა და საინფორმაციო და ციფრული რესურსებით. სასწავლო გეგმებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა გადაყვანილია ციფრულ ფორმატში და ბიბლიოთეკის თანამშრომლები რეგულარულად აახლებენ მას, ხოლო ძირითადი პროფესიული, პერიოდული გამოცემები მუდმივ რეჟიმში შეისყიდება. მიუხედავად ამისა, პროფესიული ლიტერატურა ბეჭდური სახით ნაკლებად ხელმისაწვდომია და ეს მიმართულება საჭიროებს განვითარებას. აღნიშნული ხარვეზი ნაწილობრივ კომპენსირდება იმ ფაქტით, რომ ბიბლიოთეკის საერთაშორისო მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ასევე დისტანციურად, რაც პერსონალსა და სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ციფრულ რესურსებზე წვდომა ჰქონდეთ დაწესებულების გარეთაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, ბიბლიოთეკის თანამშრომლები ასევე ატარებენ ტრენინგებს ციფრულ მონაცემთა ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით. ბიუჯეტში, მედია ხელოვნების ერთობლივი პროგრამისთვის, კონკრეტულად, 6600 ლარია გამოყოფილი სპეციალური ლიტერატურის ხარჯებისთვის, რაც დასტურდება კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ 2025 წლის 15 ნოემბერს ხელმოწერილი N100/01-08 ბრძანებით.

ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტში სწავლის მესამე წლის განმავლობაში სტუდენტებს ექნებათ წვდომა კონგრესმენ ფრენკ ჯ. გუარინის ბიბლიოთეკაზე — პროგრამის ამ ეტაპზე

განხორციელებული სამეცნიერო კვლევებისა და პროექტების მხარდაჭერის მიზნით, არსებული რესურსი ღირებულია.
ორივე უნივერსიტეტში სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურა და საინფორმაციო რესურსები სრულად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის ფაქტობრივი მდგომარეობა, მატერიალური რესურსების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი;
- ობიექტების ადგილზე დათვალიერება;
- NJCU-ს მედია ხელოვნების ობიექტების პრეზენტაცია
- კავკასიის უნივერსიტეტის, კავკასიის მედიის სკოლის ერთობლივი მედია ხელოვნების პროგრამის (ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტთან - აშშ) ბიუჯეტი.

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.4 მატერიალური რესურსი](#)	შესაბამისობაშია

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მედია ხელოვნების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის (აშშ-ს ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტთან ერთად) ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ოფიციალურად დამტკიცებული ბიუჯეტით, რასაც ადასტურებს კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის მიერ 2025 წლის 15 ნოემბერს ხელმოწერილი №100/01-08 ბრძანება. პროგრამა შექმნილია 20 სტუდენტისთვის, სწავლის წლიური საფასური კი 21,500 ლარს შეადგენს, რაც სამი წლის განმავლობაში თითოეული სტუდენტისთვის ჯამურად 64,500 ლარს უტოლდება.
პროგრამის მთლიანი ღირებულება 876,316 ლარს შეადგენს, რაც მოიცავს პარტნიორი უნივერსიტეტისთვის გადასახდელ ფიქსირებულ საფასურს (486,000 ლარი) და ხარჯთა სხვა კატეგორიების ფართო სპექტრს. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის კვლევის ხარჯებისთვის (46,941 ლარი) და პროფესიული ლიტერატურისთვის (6,600 ლარი) გამოყოფილი თანხები, ასახავს დაწესებულების ვალდებულებას, მხარი დაუჭიროს პერსონალის განვითარებას და პროგრამა ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოს.
პროგრამა ჯამში 1,290,000 ლარის შემოსავალს გამოიმუშავებს, რაც ჯამში 413,684 ლარის მოგებას უტოლდება. უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი, რომელშიც უკვე 315 000 ლარია გამოყოფილი, პროგრამის უწყვეტობას უზრუნველყოფს, იმ შემთხვევაში თუკი ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა პროგნოზირებულზე ნაკლები იქნება. შემოსავლისა და ხარჯების თანაფარდობა სტაბილურ და მდგრად ფინანსურ მოდელზე მიუთითებს. საერთო ჯამში, დამტკიცებული ბიუჯეტი ასახავს კარგად დაგეგმილ ფინანსურ ჩარჩოს, რომელიც ადეკვატურად ითვალისწინებს პროგრამის საგანმანათლებლო მიზნებს, პერსონალის მოთხოვნებს, საერთაშორისო პარტნიორობის ვალდებულებებსა და ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- მედია ხელოვნების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი (ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტთან ერთად - აშშ)
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და ფინანსურ მენეჯერთან

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, მომსხურებებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს სემესტრულ და ყოველწლიურ გამოკითხვებზე; ეფექტური მონიტორინგის შენარჩუნებისა და განვითარების ტენდენციების გამოსავლენად, შეფასების შედეგების გაანალიზების მიზნით, ჩართული ჰყავს ყველა დაინტერესებული მხარე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და სააკრედიტაციო ვიზიტისას გამოვლენილი მიგნებების მიხედვით, პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. პროგრამის შეფასებაში ჩართულია პროგრამის პერსონალი, რომლებიც თანამშრომლობენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, იზიარებენ პრინციპებსა და მექანიზმებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რათა უზრუნველყოს შეფასების კონსტრუქციული პროცესი; შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით.

პროგრამაში მონაწილე პერსონალთან ერთად, თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო სუსტი მხარეებისა და გამოწვევების გამოვლენაში. შიდა ხარისხის შეფასების პროცესში გამოიყენება საჭიროებაზე დაფუძნებული და საჭიროების შეფასების კვლევები, რათა მიზანმიმართულად გამოვლინდეს პრობლემები და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაიგეგმოს შესაბამისი ქმედებები. ეს გამოკითხვები მიმართულია სტუდენტების საჭიროებებისა და სურვილების გამოვლენისკენ, ასევე, პროგრამის ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად, ყოველწლიურად ტარდება სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევები. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამაზე ჯერ არ ირიცხებიან სტუდენტები და არ ჰყავს კურსდამთავრებულები, დასტურდება, რომ თვითშეფასების პროცესში ჩართულნი იყვნენ მომიჯნავე პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

პარტნიორი დაწესებულებები ერთობლივად არიან ჩართულნი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, იმ კომპეტენციების ფარგლებში, რაც გაწერილია მათ თანამშრომლობის ხელშეკრულებაში. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, უმაღლესი სასწავლებლები წარმოადგენენ შიდა ხარისხის შეფასების ციკლების მიგნებებსა და შედეგებს, განიხილავენ თითოეული დაწესებულების ანგარიშს და საჭიროების შემთხვევაში, გასცემენ რეკომენდაციებს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა მოქნილია ახალი რეალობისა და ტენდენციების მიმართ, რაც უზრუნველყოფს შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების სწრაფ და ეფექტურ ადაპტაციას, პროცესის ერთობლივი ადმინისტრირების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი
- შეთანხმება პროგრამის განხორციელების შესახებ
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.1. შიდა ხარისხის შეფასება](#)	შესაბამისობაშია

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტში გარე ხარისხის უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის გზით, რომლებსაც ატარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE). უნივერსიტეტი განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მიგნებებს კი წარუდგენს სკოლებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მიღებულ რეკომენდაციებთან შესაბამისობას; გათვალისწინებულია, განმავითარებელი შეფასების შედეგები.

საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად ფასდება გარე ექსპერტების, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების მიერ. მედია ხელოვნების პროგრამა მომზადდა ადგილობრივი ექსპერტების გამოცდილებისა და პოზიციების აქტიური გათვალისწინებით, რითაც უზრუნველყოფილი იყო სტანდარტებთან და სექტორულ საორიენტაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ნიდერლანდების ინჰოლანდის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა, მცირე რეკომენდაციების მიუხედავად, პროგრამა დადებითად შეაფასეს; ასევე, ხაზი გაუსვეს მის პერსპექტივებს და მნიშვნელობას დარგში კვალიფიციური პროფესიონალების მომზადების კუთხით; აღნიშნეს, თეორიული ცოდნის დაგროვებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას შორის მართებული ბალანსი და ასევე, პროგრამის პერსონალისა და სწავლების მეთოდების მართებული ურთიერთმიმართება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი
- შეთანხმება პროგრამის განხორციელების შესახებ
- გარე შეფასება;
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- ინტერვიუს შედეგები

[რეკომენდაციები](#).

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამების განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და მომსახურების გაუმჯობესებისთვის, კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უწყვეტ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესში ჩართულია შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვების განხორციელების მთავარ საშუალებას. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება გამჭვირვალობისა და გაზიარების, ასევე, თანამონაწილეობის, უწყვეტობის, აკადემიური კეთილსინდისიერების, თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით, სტუდენტები აფასებენ კურსს. თუ სტუდენტთა პასუხების რაოდენობა დაბალია, წარმომადგენლობითი შედეგების მისაღებად ტარდება ფოკუს ჯგუფები. საჭიროებებზე დაფუძნებული შეფასებითი გამოკითხვევი გამოიყენება პრიორიტეტებისა და გაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ეგზავნება დაინტერესებულ მხარეებს და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

ყოველი სემესტრის ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკონტროლებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას, ხოლო სკოლების ჭრილში გამოტანილ მონაცემებს სკოლის საბჭოები განიხილავენ. მაგისტრანტები აფასებენ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ მომსახურებებს, კვლევითი კომპონენტებისა და ასევე, პროგრამის საერთო განხორციელებას. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად და საჭიროების შემთხვევაში, მის შესაცვლელად და გასაუმჯობესებლად.

კონკურენტუნარიანი პროგრამის შესამუშავებლად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საუკეთესო არსებული პრაქტიკების შედარებას. პროგრამა იზიარებს 8 ქართული და 7 საერთაშორისო უნივერსიტეტის, ასევე, პარტნიორი დაწესებულების - ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის გამოცდილებას. შესაბამისად, გამოვლენილმა ტენდენციებმა გავლენა მოახდინა პროგრამის

შემუშავების პროცესზე და იგი მოიცავს როგორც საერთაშორისო, ასევე, ადგილობრივ პრაქტიკასა და მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი
- შეთანხმება პროგრამის განხორციელების შესახებ
- გარე შეფასება
- მსგავსი პროგრამების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია